[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალიშვილებო და ჭაბუკებო! ისწავლეთ კომუნისტურად ცხოვრება და მუშაობა! იყავით კომუნიზმის აქტიური და დაუცხრომელი მშენებლები!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გამოცემის მე-15 წელი.

№ 125 (1295) | სამშაბათი, 21 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 30 კაპ.

## საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს, ქალაქ თბილისის ყველა მშრომელს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და ულოცავენ ქალაქ თბილისის მცხოვრებლებს, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ დღესასწაულს — სოციალისტური საქართველოს სახელოვანი დედაქალაქის თბილისის 1500 წლისთავს.

ქართველი ხალხის ისტორიული ბედი, მისი მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ განუყრელად დაკავშირებულია ქალაქ თბილისის ისტორიასთან, რომელიც მრავალი საუკუნის მანძილზე იყო პოლიტიკური და ტერიტორიული ცენტრი, რომლის გარშემოც ერთიანდებოდნენ ქართველი ხალხის საუკეთესო ძალები. რუს მუშებთან და სხვა ხალხების მუშათა კლასთან ერთად თბილისის მუშები აქტიურად იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ქალაქ თბილისის მშრომელებმა, რომელიც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო და კულტურული ცენტრი გახდა, ახალი შესანიშნავი თავი ჩაწერეს თავისი ძველისძველი ქალაქის ისტორიაში და საქართველოს ისტორიაში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად ქართველი ხალხის წინაშე დაისახა თავისი სახელმწიფოებრიობის, ეკონომიკისა და კულტურის ნამდვილად თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარების ნათელი პერსპექტივები. საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების ოჯახში სოციალისტური საქართველო კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოკლე ვადაში გადაიქცა აყვავებულ რესპუბლიკად დიდად განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით. თავიანთი დედაქალაქის 1500 წლისთავს საქართველოს მშრომელები ეგებებიან ახალი წარმატებებით კომუნიზმის მშენებლობის დიდებული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ თბილისისა და მთელი საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ XXI ყრილობას შეხვდებიან და აღნიშნავენ კიდევ უფრო დიდი მიღწევებით სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში.

გაუმარჯოს ჩვენს მძლავრ სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს, ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობის ციხე-სიმაგრეს!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.**

**სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.**

მოსკოვი, 1958 წლის 18 ოქტომბერი.

## მგზნებარე მოწოდებანი

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა სახელოვნად აღნიშნეს თავიანთი დედაქალაქის — თბილისის 1500 წლისთავი, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი ლენინური მეგობრობის ნათელ დემონსტრაციას წარმოადგენდა. ჭაღარა თბილისი, მისი მკვიდრი ადამიანები დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას თბილისის 1500 წლისთავის გამო.

ზეიმით კმაყოფილი თბილისელები ახალი ენერგიით შეუდგნენ კომკავშირის მე-40 და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისათვის მზადებას. ამ ორი ღირსშესანიშნავი თარიღის აღნიშვნა კვლავ დაადასტურებს საბჭოთა ხალხის სიყვარულს დიადი სამშობლოსადმი, მის მზადყოფნას კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ახალ-ახალი გამარჯვებები მოუტანონ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც მტკიცე ნაბიჯით მიდის წინ — კომუნიზმისაკენ.

პრესაში ახლახან გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავისათვის, რომელთა მგზნებარე სიტყვები მხურვალე გამოხმაურებას ჰპოვებენ მილიონობით მშრომელთა გულებში. ჩვენი სახელმწიფოსა და მთელი მსოფლიოს ქვეყნების მშვიდობისმოყვარე ადამიანები სიხარულით იმეორებენ საოქტომბრო მოწოდებებს, რომლებიც მიესალმებიან და დიდებას ასხამენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მსოფლიო ისტორიულ გამარჯვებებს.

მშრომელთა დიდი დღესასწაულის წინ საბჭოთა ხალხი ძმურ და გულითად სალამს უთვლის დიდ ჩინელ ხალხს, რომელმაც თავი გაითავისუფლა კაპიტალისტთა მორკილებისაგან და ამჟამად ახალ სოციალისტურ სახელმწიფოს აშენებს. ჩვენი ხალხი ძმური სიტყვებით მიმართავს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნების განმტკიცებისათვის, მშრომელთა მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ჩვენი სახელმწიფო, რომელიც მთელს მსოფლიოში მშვიდობის საქმის მოწესრიგებისათვის იბრძვის, თანმიმდევრულად ახორციელებს სამშვიდობო პოლიტიკას, მტკიცედ ილაშქრებს ახალი ომის გაჩაღების, ატომური და წყალბადის იარაღით მსოფლიო ხალხების მოსპობის წინააღმდეგ. ემზადება რა დიდი დღესასწაულისათვის, ჩვენი ადამიანები ძმურ სალამს უთვლიან ყველა ხალხებს, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან მთელს მსოფლიოში მშვიდობის გამარჯვებისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 41-ე წლისთავს ხვდებიან დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ვითარებაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიმართავს ჩვენი ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყველა დარგში მომუშავე ადამიანებს დაუღალავად იბრძოლონ სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის მოღვაწეებს — ასახელონ ჩვენი სამშობლო ახალი წარმატებებით, რომლებიც ხელს შეუწყობენ საბჭოთა სახელმწიფოს კიდევ უფრო აყვავების საქმეს.







ზეიმის დღე „დინამოს" სტადიონზე. თბილისელ სპორტსმენთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები დასავლეთ ტრიბუნის წინ (სურათი ზევით). მარცხნივ — ყველაზე პატარა და ყველაზე მომხიბვლელი მოცეკვავე ამ დღეს. ამანათ-ჩირაღდანს სპორტის დამსახურებული ოსტატი ე. გოკიელი გადასცემს მსოფლიო რეკორდსმენს ნ. დუმბაძეს.

# ეს დღეები დაუვიწყარი დარჩება



ხევსურმა გოგონამ აანთო ზეიმის კოცონი.

18 ოქტომბერი. თუ აქამდე თბილისის მოღრუბლული, მოღუშული ცა სადღესასწაულოდ გამზადებულ მშრომელებსა და მრავალრიცხოვან სტუმრებს საგონებელში აგდებდა, ზუსტად ამ დღეს, თავისი იუბილის დღეს, მისი მზრუნველი შვილების მიერ კოპწიად მორთულმა, ილუმინაციების, პლაკატების, რეკლამების, გირლიანდების ცეცხლით აკაშკაშებულმა დედაქალაქმა ღრუბლების სამოსიც გაიძრო და ჭეშმარიტი თბილისური ზეცა, სხვადასხვა ქვეყნის პოეტთა მიერ ათასგზის ქებული, მზის ულევი სხივებითა და ზურმუხტის ფერით აელვარებული, დაიდგა ქალარა თავზე.

დღის სამ საათზე თბილისის „დინამოს" სტადიონისაკენ მიმავალი ყველა ტრანსპორტი საზეიმოდ მორთული თბილისელებით იყო გაჭედილი. სტადიონისაკენ მიიჩქაროდნენ ურიცხვი მანქანები, სპეციალური ავტობუსები მიიჩქაროდნენ ნაირფერ სპორტულ ტანსაცმელში გამოწყობილი კოლონები.

ოთხი საათისათვის სტადიონის ტრიბუნებზე ტევა არ იყო. დედაქალაქის ყოველი კუთხიდან მოსული მშრომელები საიუბილეო მიტინგს უხდიდნენ თბილისს.

ლოჟებში არიან საქართველოს კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების, მოძმე რესპუბლიკების, საზღვარგარეთის ქვეყნების წარმოგზავნილები. პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. გეგეშიძე მიტინგს გახსნილად აცხადებს. სიტყვა ეძლევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. პ. მჟავანაძეს. იგი ამაღელვებლად მიესალმება თანამოქალაქეებს, 1500 წლის მარად ჭაბუკი ქალაქის მკვიდრთ და მხურვალედ ულოცავს საერთო დღესასწაულს. ამაღლებულ ვითარებაში, წამით-წამს ხფეთქებული აპლოდისმენტების ქვეშ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე მიტინგზე შეკრებილთ აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს მისალმებას თბილისის მშრომელებისადმი საქართველოს დედაქალაქის 1500 წლისთავის გამო.

მიტინგი, თბილისის ყველა მშრომელის სახელით, ერთსულოვნებით იღებს მისალმებას სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

სიტყვებით გამოდიან: მაუდ-კამვოლის კომბინატის მოწინავე მუშა ლ. კრასნოვა, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი გ. ძოწენიძე, პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილი; საიუბილეო თბილისის სტუმარი, არაბი პოეტი ალი ჰაშიმ რაშიდი მგზნებარედ მიუძღვნის 1500 წლის იუბილარს საკუთარ ლექსს, რომლის თარგმანსაც კითხულობს პოეტი კ. კალაძე.

სტადიონის ვეება თალის ქვეშ შემოდის თბილისის ახალგაზრდობის დელეგაცია—მოსწავლეები, სტუდენტები, ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურენი. მათი სახელით საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. გიორგაძე ფიცს აძლევს სამშობლოს, პარტიას, ხალხს, რომ თბილისელი ახალგაზრდობა კვლავაც მოწინავეთა რიგებში იდგება კომუნიზმისათვის მებრძოლ საბჭოთა ახალგაზრდობას შორის და არასდროს შეარცხვენს მის სახელს.

ეს დღე იყო დედაქალაქის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა ჭეშმარიტი ზეიმი მათი მშობლის სახელოვანი იუბილეს გამო.

„ლილეს" ამაღლებული ჰანგების ქვეშ იწყება თბილისის ფიზკულტურელთა საზეიმო გამოსვლა. მასობრივ მხატვრულ ვარჯიშს სურებით მოხდენილად ასრულებენ ქართულ კაბებში გამოწყობილი მოსწავლე გოგონები, რომლებსაც წითელმაისურებიანი ვაჟები ცვლიან. შემდეგ, შემოკრებილთა ნახევარრკალის წინ იმართება ქართული ცეკვები და ჭიდაობა. სრულდება მასობრივი ვარჯიში ყვავილებით, რომლის პროცესშიც ერთმანეთს ნარნარად ენაცვლებიან წითელი და ლურჯი ფერები — თბილისის მზისა და ზეცის სიმბოლო. ზღვის ტალღისებრ ირხევა მასობრივი პირამიდის ნაირფეროვანი ძირი და მწვერვალი.

„თბილისის სიმღერის" ჰანგზე იწყებენ გამოსვლას „შრომითი რეზერვების" ნორჩი ფიზკულტურელები. კვლავ ენაცვლებიან ერთმანეთს მასობრივ ვარჯიშში წითელი და ლურჯი ფერები. შავმაისურებიანი გოგონები გრძელი ლენტებით — „ცეცხლის ენებით" ასრულებენ მხატვრულ ტანვარჯიშს, შემდეგ მას ისევ ერთვება მწვანე მინდორზე მოფენილთა მთელი მასა, ფრიალებს ნაირფეროვანი დროშები და ეს წარმტაცი სანახაობა გვირგვინდება ქართული ცეკვებით.

ადგილობრივი რადიო აცხადებს, რომ საქართველოს ძველ დედაქალაქში — მცხეთაში დაიწყო თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილი ამანათრბენი, რომლის ფინიში ახალი დედაქალაქი, საიუბილეოდ მორთული თბილისი და მის ქალარა ქედზე წამოდგმული ნარიყალაა. მცხეთისა და თბილისის საზღვარზე ამანათი—ანთებული ჩირაღდანი მცხეთელმა მკვიდრმა, ძველი თაობის სახელგანთქმულმა ფალავანმა სანდრო კანდელაკმა გადასცა თავის შვილს, თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო ■ასის პრიზიორს, თბილისელ ოთარ კანდელაკს.

გაისმის ფანფარების ხმა. სტადიონის ცენტრში დადგმული ძველებური ციხე-კოშკის წინ გამორბიან შავ ქულაჯებში გამოწყობილი მოისარნი და ასრულებენ საბრძოლო მოტივებზე აგებულ ვარჯიშს. ისინი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები არიან. მათ გამჭვირვალე მანდილის ნაზი ფრიალით ცვლიან ქართულ კაბებში ჩაცმული გოგონები. მუსიკაში შემაშფოთებელი ჰანგები ერთვება. მოცეკვავე ქალებისაკენ ველურ ცხენებს მოაგელვებენ უეცრად მომხდური მტრები. თავდასხმულთა წივილ-კივილს დამბაჩის ხმა ახშობს. ქართველი მხედრები ბრძოლით უკუაქცევენ მტრებს.

სრულდება „ლილოს" თამაში. იცვლება მუსიკის ჰანგები. სტადიონის ცენტრისაკენ კვლავ მოდის კოლონა. მას წინ მიუძღვიან სახელგანთქმული სპორტსმენები: ოთარ ქორქია, ნინო დუმბაძე, ელენე გოკიელი, მირიან ცალქალამანიძე და სხვანი. კოლონა წერს: „1500". იწყება ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა მასობრივი ვარჯიში. ტანმოვარჯიშეები, ველომრბოლელები, მოტოციკლისტები ერთმანეთს ეჯიბრებიან ოსტატობაში. ლურჯ რეიტუზებსა და ლურჯ-თეთრ მაისურებში მოვარჯიშე ფიზკულტურელთა კოლონა სწრაფად აკეთებს სახელდახელო დგირს, ღერძს, ორძელსა და მათზე სრულდება ტანვარჯიშული ილეთები. ვარჯიშს აგვირგვინებს გრანდიოზული პირამიდა, რომელიც ვაზის ტანივით ირხევა და ზღვის ტალღებივით ბობოქრობს.

დამსწრეთა ყურადღება სტადიონზე შემოსასვლელი არკისკენ ინაცვლებს. თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტს შემოაქვს მცხეთიდან დაძრული ამანათი — ანთებული ჩირაღდანი და გადასცემს ძველი თბილისის ფალავანს — შაშო ვერელს. მისგან იგი თანმიმდევრობით ინაცვლებს: ლევან სანაძესთან, ელენე გოკიელთან, ნინო დუმბაძესთან, ვალერი ვაშაკიძესთან და სარიენ ბილიკის ოვალის შემოვლით ისევ გადის ქალაქის ტერიტორიაზე. თბილისელმა სპორტსმენებმა მოზეიმე ხალხით სავსე ქუჩებით: პლეხანოვის პროსპექტით, სტალინის სანაპიროთი, ვარაზის ხევით და რუსთაველის პროსპექტით გაიტანეს ანთებული ჩირაღდანი ძველებურ ქუჩებში, ხოლო უკანასკნელმა მეამანათემ — რობერტ შავლაყაძემ ნარიყალაზე დაანთო მისგან საიუბილეო კოცონი.

* * *

საღამო ხანს მოლივლივე მტკვრის ზედაპირი უჩვეულო, გაჩირაღდნებულ საესტრადო სცენად იქცა. ზუსტად რვა საათზე თბილისელმა ნიჩბოსნებმა ნავებიდან და კატერებიდან გადასხეს მდინარის ზურგზე საწვავი ზეთით სავსე, ცეცხლმოკიდებული ფიალები. ჯერ ერთეულებად, ათეულებად, შემდეგ კი ასობით დაიძრნენ ეს წყლის ციცინათელები სტალინის სახელობის ხიდიდან და მალე მთელ მდინარეს მოეფინენ.

ახანძრებულ მტკვარს მიჰყვა თეთრ ჩოხებსა და ყარაჩოხულ ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანებით დატვირთული გრძელი ტივი, საიდანაც ილუმინაციებით გაბრწყინებულ, ზღაპრულ სანაპიროს ომახიანი, დიდებული, საზეიმო ქართული სიმღერების ჰანგები და ყარაჩოხელთა მიერ წარმოთქმული ლექსები ეფინებოდა. მთელი სანაპიროსა და შემხვედრი ხიდების მოაჯირების გასწვრივ ჩამწკრივებული, მოზეიმე თბილისელები ტაშის ცემით ეგებებოდნენ ამ ფეიერვერკულ სანახაობასა და დედაქალაქის თეატრებისა და ფილარმონიის მსახიობების უჩვეულო გამოსვლას მდინარის ზედაპირზე, რომელსაც ნელი ტაატით მიჰყავდა ტივი ორთაჭალისკენ, მეტეხისაკენ, სადაც 1500 წლის წინათ ვახტანგ გორგასალმა თბილისის დაარსების ტვიფრი დაადო.

* * *

მზით გაბრწყინებულ დედაქალაქში 19 ოქტომბრის დილიდანვე გრძელდებოდა დღესასწაული. საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ილიასა და აკაკის ძეგლი, რუსთაველის პროსპექტიდან ელბაქიძის დაღმართზე გამდინარე ახალი მაგისტრალი, ფუნიკულორის პლატოზე ამავალი საბაგირო გზა, საძირკველი ჩაეყარა ვახტანგ გორგასალის ძეგლს, საზეიმოდ ჩაეშვა თბილისის ზღვაზე აჰარელთა მიერ მოძღვნილი თბომავალი „თბილისის 1500 წელი"...

შუადღის შემდეგ ხალხით დახუნძლული ტრამვაები, ავტობუსები, ტროლეიბუსები და მანქანები დაიძრნენ ქალაქის განაპირა უბნისაკენ — ვაკისაკენ, სადაც, „ბურევესტნიკის" სტადიონზე, შედგა გრანდიოზული საიუბილეო საღამო.

საღამოს 6 საათი. გაისმის ფანფარების ხმა. საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი და სახელმწიფო კაპელა უფლისციხის ქონგურებიდან ასრულებს რ. ლაღიძის „სიმღერას თბილისზე". შემდეგ ფანფარები უკრავენ კურანტებს ა. ყარაშვილის სიმღერის „სამშობლოს" ჰანგებზე. ამ ჰანგებს თანმიმდევრულად იტაცებენ სიმფონიური ორკესტრი, კაპელა და მისი დიდებული მელოდიის ქვეშ მთაწმინდის კალთებიდან ანთებული ჩირაღდნით ეშვებიან ხევსური მხედრები, სტადიონის რკალისაკენ მოისწრაფვიან და დაწინაურებული მხედარი ქალი ტრიბუნების მქუხარე ტაშში ანთებს დიდ კოცონს.

იწყება გრანდიოზული ფერხული, რომელიც სტადიონის მთელ მწვანე მინდორს იკავებს. ეს ქართული ქორწილის შესავალია. დოლის რიტმულ ბაგა-ბუგს თანდათანობით ერთვება სულ უფრო მოახლოვებული და მოძლიერებული გუგუნი. სტადიონს უახლოვდება ვერტმფრენი და შეულად ეშვება მწვანე მინდორზე. მისი კაბინიდან ნეფე-დედოფალი გადმოდის და ქორწილიც იწყება. უფლისციხის გალავანთან ს რ უ ლ დ ე ბ ა ცეცხლოვანი ქართული ცეკვები.

მას შემდეგ, რაც ტრიბუნების წინ ჩამოატარეს აზორგებული ბედაური, — მოძმე აზერბაიჯანის საიუბილეო საჩუქარი 1500 წლის თბილისს — მწვანე მინდორს მოეფინენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტსმენები, რომლებმაც წინა დღის პროგრამა გაიმეორეს და მაყურებელთა მხურვალე ტაშის ქვეშ დასტოვეს მინდორი.

„ყეენობა"! ქართველი ხალხის უძველესი სატირიკული სანახაობა, რომლითაც ის მთელი არსებით ხარხარებდა და აქიაქებდა თავის დაუძინებელ მტრებს.

პროჟექტორები ქრებიან. სულ მცირე ხნით მწუხრი ეფინება მინდორს. მაგრამ, აი, შორიდან გამოჩნდა მაშხალების ციცინათელები, გუნდ-გუნდად მოდიან ქართულ კაბებსა და ჩოხებში გამოწყობილი ქალ-ვაჟნი. იწყება „ღამის თევა", სხვადასხვა ადგილზე ინთება კოცონები და მათ ირგვლივ შემოკრებილი ხალხი აჩაღებს ცეკვას, ტაშ-ფანდურს, ჭიდაობას, ფარიკაობას...

თანმიმდევრულად ენაცვლებიან ერთმანეთს უძველესი ქართული სანახაობანი, ლხინისა და ზეიმის ტრადიციები, ნაცნობი სურათები სცენიდან და წიგნებიდან: ბედაურს მოაგელვებს მახარობელი; მოდის მაყრიონი; კრიმანჭულით შემოდიან გურული მხედრები; ეტლებით — ყარაჩოხლები, ხანუმა და ქაბატო, მოჩარდახულ ურმით — ლუარსაბი და დარეჯანი; ქორწილს არ აკლდებიან ყვარყვარე თუთაბერი და დარისპანი თავისი განუშორებელი კაროჟნათი.

ეს ერთიანი სანახაობა გვირგვინდება რაჭული მესტვირულით—ტკბილი დალოცვით.

უფლისციხეზე აღიმართება ფართო ეკრანი. მასზე უჩვენებენ „ქართული ფილმის" სპეციალურ გამოშვებას: კინოსტუდიის შენობიდან ტყვეობას თავს აღწევენ ქართული ფილმების გმირები და „ბურევესტნიკის" სტადიონისაკენ მოისწრაფვიან. კადრი წყდება, სინათლე ინთება და ტრიბუნებისაკენ ნამდვილად მოაგელვებენ ცხენებს ბაში-აჩუკი, აბდუშელი, გიორგი და კესო, „პობედას" მოაქროლებს აბეზარა, სახედრით მოჩაკჩაკებს მენახშირე, მოდიან მიხო და კატო. ისინი მხურვალედ მიესალმებიან აგრიალებულ ტრიბუნებს.

გაისმის ზათქი. ნაირფეროვანი შუშხუნები გადმოიჭრნენ თბილისის ირგვლივ შემოჯარული მთებიდან. სტადიონიდანაც ცაში აიტყორცნენ ფერადი მაშხალები. ბრწყინავს, ხმაურობს, ბობოქრობს ცეცხლოვანი ფეიერვერკი. გუგუნებს ორკესტრი და გუნდი—„სიმღერა თბილისზე".

მოზეიმე თბილისელები მხიარული შეძახილებით, სიმღერით, ტაშით აგვირგვინებენ ამ გრანდიოზულ საღამოს, მარად დაუვიწყარ საიუბილეო დღეებს.

ბაქოელთა საჩუქარი



ეს ცხენი, რომელზეც მ. ძიძიგურია ამხედრებული, თბილისს საჩუქრად მიართვა ბაქომ, ნავთის ქალაქის მშრომელებმა.

# მეგობრებო! მეც ჩემის მხრივ გილოცავთ გამარჯვებას, გამარჯვებას მართალს და ალალს

სიტყვა წარმოთქმული პოეტი-აკადემიკოსი ი. გრიშაშვილის მიერ მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადაზე გამარჯვებულ საქართველოს სპორტულ დელეგაციასთან დედაქალაქის მშრომელების შეხვედრის დროს.

იმ დროს, როდესაც ჩემს საყვარელ ქალაქს, მაგრამ ყოველთვის ჭაბუკ თბილისს მოძმე რესპუბლიკების ოთხი ათასი ახალგაზრდა ესტუმრა სასპარეზოდ, თანასწორთა შორის გამარჯვებას მე შორიდან განვიცდიდი.

ასეთი საარაკო გამარჯვება, დიდი საგმირო საქმის ბადალი და თანატოლია. ეს თქვენი გამარჯვება მაღლა სწევს ჩვენს სახელს, ჩვენს დროშას, იმ დიდ ოჯახში, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი რომ ეწოდება.

მე, თბილისის ქეშიკი და ქართული ასპარეზობის მოტრფიალე, ახლაც განვიცდი ამ უჩვეულო და სასახელო გამარჯვების სურნელებას.

ყოველი დიდი გამარჯვება მწერლისათვის, ასე ვთქვათ, სასიამოვნო მუქლუგუნია, ასეთი გამარჯვება პოეტის მუზას წკიპურტს ჰკრავს და მოუწოდებს — ლექსით იქნება თუ პროზად — ხოტბა შეასხას ამ მოვლენას.

ჩვენი ძველი მწერლები, ყოველგვარ ასპარეზობას ეხმაურებოდნენ, ეხმაურებოდნენ კალმით სიტყვაკაზმულად, ლამაზად, ძლიერად. გაიხსენეთ გრიგოლ ორბელიანის ძმაკაცი, მეთევზე და მოკრივე ლოპიანა, „ყოჩად" წოდებული და დარბაისელი ყარაჩოღელი. იმისი ერთი შესვლა კრივში და კამეჩივით დატრიალება დიდ პოემას უდრიდა. გრიგოლ ორბელიანმა ლოპიანა ასე აალაპარაკა:

„ორთაჭალის ბაღში მნახე,
ვინა ვარ,
დარდიმანდის ლხინში მნახე
ვინა ვარ,
ჭამით ტოლუმბაში მნახე ვინა ვარ,
აბა მუშტი კრივში მნახე
ვინა ვარ!"

ჩვენი ძვირფასი პოეტის აკაკი წერეთლის ნაწერები სავსეა ასპარეზობის ეპიზოდებით. აკაკი მაშინდელ გაზეთებში წერილებსაც ათავსებდა ცნობილ მოჭიდავეებზე — კულა გლდანელზე, ნესტორ ესებუაზე, ვერელ შაშუაზე, გიორგი ჯიბგირზე (ასეთი ფსევდონიმებიც იყო) და სხვა.

რაღა შორს მივდივართ?

ჩვენი სულმნათი შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი" ასპარეზობით იწყება და ასპარეზობით თავდება.

ასე იყო ყოველთვის, ასე უნდა იყოს დღესაც.

ყოველ შემთხვევაში, ცოდვა გამჟღავნებული ჯობია, ჩვენ, თანამედროვე პოეტებს თქვენი ვალი გვმართებს. ჯერ კიდევ მოასპარეზობის ვალი გასასტუმრებელია!

რაც შემეხება მე, გრიშაშვილს, ვეცდები ეს ნისია როგორმე ამ ლექსით მაინც ავანაზღაურო:

„ბედნიერებო, გამოდით გარეთ!"
დღეს უნდა ეთქვა ჩვენს ძვირფას
მგოსანს,
როცა ბრძოლების გზა გავიარეთ,
როცა ჩვენს გმირებს დაფნები
მოსავს.

„ბედნიერებო, გამოდით გარეთ!"
მსურს მეც შევძახო ხალხს
ჯიშიანებს.

რად მინდა წყარო, თუ არ
ჩქეფს ცხარედ!
რად მინდა ვერხვი, თუ არ
შრიალებს!

იბრძოლეთ მედგრად! სწერეთ
მგრძნობელად!
ააყვავილეთ სამშობლო მხარე!
ჩხირსაც ნუ სტოვებთ
გაუცნობელად...
ბედნიერებო, გამოდით გარეთ!

ახალგაზრდობა! ეს გულთა
ჩქროლის,
ეს მომავალის წინდი და ნდობა;
გამარჯვებების, ლხინის და
ბრძოლის —
ახალგაზრდობა! ახალგაზრდობა!

მართლაც რა იყო წარსული ჩვენი?
თვალზე სიამის ცრემლი მერევა.
აი, სად არის ქვეყნად ედემი!
აი, სად არის ბედნიერება!

ო, დაილოცოს ბელადის კერა!
დასტკბით, აფეთქდით, ლაღად,
მგზნებარედ;
მე მხოლოდ თქვენი სიმღერა
მჯერა!
ბედნიერებო, გამოდით გარედ!



ქალაქ ასტრახანში ამას წინათ დამთავრდა ამავე ქალაქის 400 წლისთავისადმი მიძღვნილი საკავშირო მარათონული [illegible] დარებითა [illegible].

შეჯიბრების პირველი ეტაპის დისტანციის ნახევარი (56 კმ.) კანოეთი ყველაზე ადრე დაფარეს სპორტის ოსტატებმა ს. პოგორელოვმა და ვ. ტიხონოვმა (ასტრახანი). მათი დრო 5 საათი, 49 წუთი და 58 წამი.

სურათზე: შეჯიბრების მონაწილენი დისტანციაზე. წინა პლანზეა სპორტის ოსტატები ს. პოგორელოვი და ვ. ტიხონოვი.

ფოტო ა. ლეონტიევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა)

## მოსკოვი-ინგლისი — 8:2

15 ოქტომბერს, საღამოთი ლონდონის ერთ-ერთ ცენტრალურ სპორტულ დარბაზში „ალბერჰოლში" გაიმართა მოსკოვისა და ლონდონის მოკრივეთა ტრადიციული შეხვედრა.

ჩვენი ქვეყნის დედაქალაქის ნაკრები ამ სამატჩო შეხვედრაში ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა (წონითი კატეგორიების მიხედვით): შანგუროვი, სტეპანოვი, საფრონოვი, სმირნოვი, სიმახინი, გრომოვი, კორომისლოვი, კისელიოვი, სენკინი, აბრამოვი. საბჭოთა მოკრივეებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს შეხვედრა და 10 წონითი კატეგორიიდან გაიმარჯვეს რვაში.

კარგად ჩაატარა ბრძოლა სპორტის ოსტატმა გრომოვმა კოსტერის წინააღმდეგ. ინგლისელმა მეორე რაუნდში უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. აშკარა უპირატესობით მოუგეს გრიფიტსა და შოუს შეხვედრები კორომისლოვმა და სენკინმა. კისელიოვმა მესამე რაუნდში ნოკაუტით დაამთავრა ბრძოლა ელდერჰილდთან. ევროპის ჩემპიონმა აბრამოვმა მეორე რაუნდში დაამარცხა პეიჯი.

მასპინძელთა გუნდმა პირველი ქულა მიიღო ქვემსუბუქი წონის მოკრივეთა გამოსვლის შემდეგ. ოლიმპიურმა ჩემპიონმა საფრონოვმა დაიზიანა წარბი და ვერ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ინგლისელმა უორვინმა მსუბუქ წონაში. მან დაამარცხა საბჭოთა მოკრივე სმირნოვი.

## ინიციატივის გარეშე

თბილისი. „დინამოს" სტადიონი. 19 ოქტომბერი.

სკვო (თბილისი)-„სპარტაკი" (სტავროპოლი) — 1:0 (1:0).

„სპარტაკი": ემაევი; გულიაშვილი, ჩუნოსოვი, ეკიზაშვილი; ხუსტიდტინოვი, გოვორუნი; კნიაზევი, კიტინი, პოლევოი, რიბაკოვი, ბელიაევი.

სკვო: ჰანტურია; ჰანჰალეიშვილი, გაიხარაშვილი, გრიშინი; მიროშნიკოვი, ხელაძე; მიქაძე, ნორაკიძე, გორეშნევი, კურტანიძე, ივანოვი.

მსაჯი ა. მახანოვი (მოსკოვის ოლქი).

მაგიდის ფეხბურთი — ეს სახელი აღნიშნულ მატჩს შეარქვა ერთ-ერთმა მაყურებელმა სამხრეთის ტრიბუნიდან. მაყურებელი სავსებით სწორი იყო. თამაში მეტად უინტერესო გამოდგა და ბურთი ძირითადად მოძრაობდა ისე, როგორც მაგიდის ჩოგბურთში: მინდვრის ერთი ნახევრიდან მეორისაკენ და უკან, რაიმე ჩაფიქრებული კომბინაციებისა და გათამაშების გარეშე. თბილისელები ასე თუ ისე ცდილობდნენ აეწყოთ ტაქტიკურად გამართული თამაში, მაგრამ მათი თავდამსხმელები სისტემატურად აგვიანებდნენ ბურთზე გასვლას და „სპარტაკის" მცველები იოლად უკან აბრუნებდნენ მოწინააღმდეგის მიერ შორიდან მოწოდებულ გადაცემებს.

პირველი 15 წუთი გავიდა ისე, რომ მინდორზე არაფერი ღირსშესანიშნავი არ მომხდარა. მხოლოდ მე-16 წუთზე გაექცა ბელიაევი მცველებს და ჰანტურიამ ნახტომში აიღო ძლიერად დარტყმული ბურთი. მცირე ხანში ზუსტად ისეთივე მანევრი გაიმეორა რიბაკოვმა, მაგრამ მის მიერ მეკარის თავს ზემოდან გადაგდებული ბურთი მოხვდა ძელს და დაუბრუნდა მინდორს.

ერთადერთი ბურთი ამ მატჩში გატანილ იქნა ტაიმის დასასრულს გორეშნევის მიერ. მან უაღრესად პასიურად ჩაატარა თამაში, მაგრამ 42-ე წუთზე მეტად ეფექტური, ძლიერი დარტყმით დაამთავრა მიროშნიკოვისა და მიქაძის მიერ გათამაშებული სწრაფი კომბინაცია — 1:0.

შესვენების შემდეგ სპარტაკელები თავგამოდებით იბრძოდნენ ანგარიშის გასათანაბრებლად, მაგრამ საამისოდ მათ არ ყოფნიდათ არც ტაქტიკური, არც ტექნიკური მომზადება.

მატჩი მოიგო თბილისის სკვო-მ ანგარიშით 1:0

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 19 ოქტომბრისათვის

| | თ. | მ. | ფ | წ | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" მ. | 22 | 14 | 3 | 5 | 44:25 | 31 |
| „სპარტაკი" | 21 | 12 | 6 | 3 | 52:26 | 30 |
| ცსკ მო | 22 | 9 | 9 | 4 | 40:25 | 27 |
| „ზენიტი" | 22 | 9 | 8 | 5 | 41:32 | 26 |
| „ლოკომოტივი" | 22 | 9 | 6 | 7 | 48:34 | 24 |
| „დინამო" კ. | 21 | 7 | 9 | 5 | 38:30 | 23 |
| „ტორპედო" | 22 | 7 | 8 | 7 | 51:42 | 22 |
| „შახტიორი" | 22 | 9 | 3 | 10 | 22:32 | 21 |
| „დინამო" თბ. | 22 | 8 | 3 | 11 | 34:55 | 19 |
| „კრ. სოვეტოვი" | 22 | 6 | 6 | 10 | 23:29 | 18 |
| „მოლდოვა" | 22 | 3 | 9 | 10 | 25:47 | 15 |
| „ადმირალტ." | 22 | 3 | 0 | 19 | 22:63 | 6 |

* * *

მოსკოვი. 19 ოქტომბერი. აქ შედგა მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. თამაშობდნენ „ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„მოლდოვა" (კიშინიოვი).

შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 8:1.

* * *

კუიბიშევი. 19 ოქტომბერი. ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა" თავის მინდორზე მიიღო „შახტიორი" (სტალინო).

ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „კრ. სოვეტოვმა".

## მატჩი ლონდონში

18 ოქტომბერს მოსკოვიდან ლონდონს გაემგზავრა სსრ კავშირის ფეხბურთელთა პირველი ნაკრები გუნდი, რომელიც 22 ოქტომბერს ითამაშებს ლონდონში ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ.

საბჭოთა ფეხბურთელების დელეგაციას ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი ამხ. სვირიდოვი და ნაკრების მწვრთნელები ამხ. ჟარკოვი და კაჩალინი.

## ლიდერის დამარცხება

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 19 ოქტომბერი.

„ლოკომოტივი" (ქუთაისი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) — 3:1 (2:0).

„ყუბანი": ასადულაევი, ნიკიტინი, გალიაწოვი, ზასოვი; ბულიგინი, იგნატოვი; გორინი, მანგასაროვი, კოსტილევი (შადჩინი), ევსიუკოვი, ზივროვი.

„ლოკომოტივი": ურუშაძე; დავარაშვილი, ანთიძე, ცხოვრებოვი; კილაძე, პეტრიაშვილი; სარჯველაძე, სორდია, კახიანი, გოშელაური, ზარდანია.

მსაჯი ვ. არხიპოვი (მოსკოვი).

ლოკომოტიველებმა თამაში დაიწყეს მეტად მაღალ ტემპში, ხშირი აგრესიული შეტევები და „ყუბანის" კარი პირველივე წუთებიდან აშკარა საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სტუმრების მცველები ვერ ასწრებდნენ მოწინააღმდეგე თავდამსხმელთა მჭიდროდ აყვანას და საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ მათ სისწრაფეში.

უკვე მე-10 წუთზე კახიანი კარგად გავიდა კრასნოდარელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ ძლიერად დარტყმული ბურთი მოხვდა კარის ძელს. 30-ე წუთზე „ყუბანის" კართან მოწოდებულ იქნა კუთხური საჯარიმო, რომელსაც ერთ-ერთი მცველი ხელით შეეხო კარის წინ. ხორდიას მიერ სუსტად დარტყმული პენალტი მოიგერია ასადულაევმა, მაგრამ სორდიამ მიუსწრო ბურთს და განმეორებით დარტყმით გახსნა ანგარიში. შესვენების წინ სარჯველაძემ ზუსტად გადასცა ბურთი კახიანს, რომელმაც მეორე გოლი გაიტანა სტუმართა კარში — 2:0.

შესვენების შემდეგ ქუთაისელები კვლავ განაგრძობდნენ იერიშებს და მალე კახიანის მიერ ანგარიში გაზრდილ იქნა სამამდე.

მხოლოდ ამის შემდეგ შეძლეს კრასნოდარელებმა გარდატეხის შეტანა თამაშში, მაგრამ „ლოკომოტივის" დაცვა, სადაც გამოირჩეოდნენ ურუშაძე, ანთიძე და ცხოვრებოვი, თამაშობდა ზუსტად და შეუცდომლად. სტუმრებმა მხოლოდ 86-ე წუთზე შეძლეს ერთადერთი ბურთის გატანა.

ქუთაისის „ლოკომოტივმა" მოუგო ლიდერს ანგარიშით 3:1.

ლ. ფაჩუაშვილი

* * *

როსტოვი. 19 ოქტომბერი. (ტელეგრაფით). აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ბ" კლასის IV ზონის გუნდებს შორის. ადგილობრივმა სკვო-მ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „ბურევესტნიკი".

მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

ამავე დღეს ერევნის „სპარტაკი" სტალინოში შეხვდა ადგილობრივ „ლოკომოტივს". შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1.

* * *

ამჟამად „ბ" კლასის IV ზონის ლიდერებს ერევნის „სპარტაკს", კრასნოდარის „ყუბანსა" და როსტოვის არმიელებს ბოლო ტურის წინ აქვთ ქულათა თანაბარი რაოდენობა — 41. ერევნელებს დარჩენილი აქვთ მატჩი თბილისის არმიელებთან, ხოლო როსტოვისა და კრასნოდარის გუნდებს — ერთმანეთთან.

## დარჩა მხოლოდ ფინალი

წელს მეორედ ჩატარდება სსრ კავშირის თასის გათამაშება ფეხბურთში ფიზიკური კულტურის კოლექტივების გუნდებისათვის. მასში მონაწილეობდა 22.500 გუნდი.

უკვე შედგა ნახევარფინალური მატჩები. მოსკოვის „დინამოს" მე-19 რაისაბჭოს საკლუბო კოლექტივმა ანგარიშით 1:0 მოუგო ვილნიუსის „სპარტაკს", ხოლო ბათუმის „დინამომ" ანგარიშით 0:4 განიცადა დამარცხება რამენსკში ადგილობრივი „ტრუდისაგან". აღსანიშნავია, რომ მატჩი სუსტად ჩაატარა ბათუმელთა მეკარემ კვასხვაძემ.

ხვალ მოსკოვის „დინამოს" სტადიონზე შედგება თასის ფინალი.

## ვეტერანთა ტურნირი

მოსკოვი. აქ 19 ოქტომბერს დაიწყო ტრადიციული საკავშირო ტურნირი ფეხბურთში მოსკოვის, ლენინგრადის, კიევისა და თბილისის ვეტერანთა გუნდებს შორის.

პირველ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდები. თამაში მოიგეს მოსკოველებმა — 6:3.

# დიდი მოგვითხრობს

ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის მატჩებში თამაშის სრულყოფილი და მრავალფეროვანი ტექნიკით ბრწყინავდნენ ბრაზილიელი ფეხბურთელები. ისინი ვირტუოზულად ფლობდნენ ბურთს, ადვილად ერკვეოდნენ მინდორზე შექმნილ მდგომარეობაში და დიდ ტაქტიკურ მოქნილობას ავლენდნენ. ცნობილია, რომ ბრაზილიელები დიდ დროს ანდომებენ ტექნიკის სრულყოფას. ერთგვარი წარმოდგენა რომ გვქონდეს, თუ როგორ მიმდინარეობს მათი წვრთნა, შეიძლება მოვიყვანოთ ბრაზილიელთა ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელის ვალდირ პერეირას ნაამბობი, რომელიც როგორც თავის ქვეყანაში, ისე სპორტულ სამყაროშიც უფრო დიდის სახელითაა ცნობილი.

დიდი თამაშობდა ოდნავ უკანდაწეული, ნახევარდაცვის ხაზში და როგორც წესი, იწყებდა ბრაზილიელთა ყველა შეტევას. ვინც თვალს ადევნებდა დიდის თამაშს, აუცილებლად მიაქცევდა ყურადღებას მის ტექნიკას. განსაკუთრებით მაშინ, როცა დიდი ასრულებდა დარტყმას ტერფის გარე ნაწილით. ჩვენი მოთამაშეებისათვის ეს დარტყმა ცნობილია საფეხბურთო ჟარგონით მას „შკედურს" უწოდებენ, რაც მის წარმოშობაზე მეტყველებს. დიდი ამ დარტყმას ასრულებს მაშინ როცა ბურთის მოძრაობა ჰაერში ჰგავს ხიდან ჩამოვარდნილი ხმელი ფოთლის მოძრაობას და ამიტომაა, რომ ბრაზილიელები ამ დარტყმას „ფოლია სეკას" უწოდებენ, რაც „ხმელ ფოთოლს" ნიშნავს. როცა დიდი ასეთ დარტყმას ასრულებს, შეუძლებელია გამოიცნო ბურთის მოძრაობის მიმართულება და მისი მიწაზე დაშვების ზუსტი ადგილი. დიდი შესანიშნავად სარგებლობდა ამ შენიღბული დარტყმით და მოულოდნელად გაჰყავდა თავისი პარტნიორები კარის აღებისათვის ხელსაყრელ პოზიციაში.

აი რას ამბობს ამ დარტყმის შესახებ თვით დიდი.

— მე ხშირად ვიყენებ ამ ილეთს. იგი მოწინააღმდეგეს აბნევს. ეს დარტყმა ჩვენ ევროპელთაგან გადმოვიღეთ, ისინი კი მას სრულებით არ ხმარობენ. ამ ილეთის შესრულებისას საჭირო არაა კორპუსის მდგომარეობის შეცვლა და ამიტომ ჩანაფიქრი შენიღბულია უკანასკნელ მომენტამდე. ჩვენ ამ დარტყმის წარმატებით შესრულებას ვაღწევთ კოჭის სახსრების სპეციალური ვარჯიშით. პლაჟის ქვიშაზე თამაში, რომელიც ზოგიერთ ბრაზილიურ კლუბშია კულტივირებული, კოჭის სახსრების განვითარების საუკეთესო საშუალებაა.

როგორ ვისწავლე „ხმელი ფოთოლი"? ამას განსაკუთრებული ისტორია აქვს. შვიდი წლის წინათ ეს დარტყმა მე ზეზე მორეირამ მაჩვენა, რომელიც მიმაჩნია ჩემი ფეხბურთის მამად. სამი წლის განმავლობაში ვეუფლებოდი „ხმელ ფოთოლს". ვვარჯიშობდი ყოველ დღე 40 წუთის განმავლობაში კედელთან ხოლო შემდეგ ვხვეწდი ვარჯიშზე გუნდთან ერთად. ჩემთან, სამშობლოში, სწორედ „ფოლია სეკას" მეთოდით მაქვს კარში გატანილი ბევრი ბურთი 20-25-მეტრიაანი საჯარიმოდან

როგორ ვაკეთებ ამას? თქვენ ალბათ იცნობთ ბილიარდს. აუცილებელი არაა ბილიარდის ჯოხი ბურთულას ცენტრში მოარტყათ. შეიძლება დაარტყათ ქვემოთ, მარცხნივ, მარჯვნივ. ამის გამო ბურთულა წინ მოძრაობის გარდა გვერდულადაც ბრუნავს, რაც მას ტრაექტორიას უცვლის.

სწორედ ამას ვაკეთებ ბურთზე დარტყმისას ჩვეულებრივ, ვარტყამ მარჯვენა ფეხით (ეს ჩემი „ძლიერი ფეხია"). დარტყმა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მიმართულება მინდა მივცე ბურთს. მე ვარტყამ ტერფს შიდა ან გარე ნაწილით. ტერფის გარე ნაწილით დარტყმისას ბურთი მიდის მარცხნივ, ხოლო ტერფის შიდა ნაწილით დარტყმისას — მარჯვნივ. საამისოდ მე ვიყენებ არა ფეხის მთელ სიგრძეს, არამედ მხოლოდ მის ბოლოს. ბურთისათვის მბრუნავი მოძრაობის მისაცემად, დარტყმის მომენტში ოდნავ უკან ვწევ ფეხის წვერს. ამიტომაა, რომ მე და ჩემი კოლეგები ვატარებთ რბილ და დაბალ ბუცებს, რომელთა წვერი დარტყმის შემდეგ იზნიქება და შემდეგ კვლავ სწორდება. ეს ხელს გვიწყობს უფრო მეტად შევიგრძნოთ ბურთი. შვიდი წლის განმავლობაში „ხმელი ფოთლით" მე მოწინააღმდეგის კარში გავიტანე 50-მდე ბურთი.

რამდენიმე სიტყვა ფიზიკურ მომზადებაზე. ნუ იფიქრებთ, რომ მას არ ვაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას. მაგალითად, მე ინტენსიურ ფიზიკურ ვარჯიშებს ყოველდღიურად ვანდომებ 15 წუთს. ეს რასაკვირველია, ცოტაა, მაგრამ ჩემს ჯანმრთელობაზე გრძელვადიანი დიდი ფიზიკური დატვირთვა უარყოფითად მოქმედებს. ასეთი ხანგრძლივი ვარჯიშები ძალზე ცუდად მოქმედებს ჩემს ფსიქიკაზე.

ჩვენს ფიზიკურ მომზადებაში შედის ე. წ. „ბი-ტოკვე". ეს ორ კარში თამაშია საინტერესო წესებით: მოთამაშეს უფლება აქვს მხოლოდ ორჯერ შეეხოს ბურთს, მესამე შეხებისას ფეხბურთელი ჯარიმდება საჯარიმო დარტყმით. ამით ჩვენ გადავეჩვიეს ბრაზილიელებისათვის დამახასიათებელ ბურთის ზედმეტად გაჩერებას და უნდა ითქვას, რომ „ბი-ტოკვე" დიდად დაგვეხმარა არა მარტო ფიზიკურ მომზადებაში, არამედ კოლექტიური თამაშის განვითარებაშიც.

(გაგრძელება იქნება)

## ფიზკულტურის რესპუბლიკურ კომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა კალათბურთში ამხ. ამხ. ქ. ჯაფარიძეს, რ. გოგელიას, მ. ასიტაშვილს, ი. ხაზარაძეს, ი. მირიანაშვილს (ხუთივე თბილისი, „დინამო"), რ. ახალაძეს, ლ. გენგაშვილს და ს. ნარიმანიძე-ბურჯანაძეს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი"). სპორტულ ტანვარჯიშში — ი. ამაშუკელს (თბილისი „შრ. რეზერვები"), ქ. ქაჯაიას (თბილისი, „ლოკომოტივი"), ნ. მაკალათიას და ე. ხახუბიას (ორივე თბილისი, „ბურევესტნიკი"). ფარიკაობაში გ. ჯაიანს, ნ. ასათიანს (ორივე თბილისი „ბურევესტნიკი"), გ. გოგელიას (თბილისი, „დინამო"). ველოსპორტში — ს. კვინიკაძეს (თბილისი, „ლოკომოტივი"), ა. სოლომონიძეს, [illegible] და ვ. ქართველიშვილს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი"). რ. ტრაპაიძეს (თბილისი, „დინამო"). მოტოსპორტში ე. სარქისოვს (საბჭოთა არმია). ტყვიით სროლაში — შ. ქველიაშვილს (საბჭოთა არმია). ჩოგბურთში ი. რიაზანოვას (თბილისი, „ბურევესტნიკი"). წყალში ხტომაში ა. ხარჩიკიანს (თბილისი, „ბურევესტნიკი"), ს. კამოევს (თბილისი, „განთიადი"), კრივში ქ. ბაბახანიდს (თბილისი, „დინამო"), ა. ელაშვილს (თბილისი, „განთიადი"), თ. გუჯაბიძეს (ქუთაისი, „შრომითი რეზერვები").

## ორ ჯგუფში

ქუთაისში ჩატარდა საკავშირო კროსის მეორე ეტაპი. სტარტზე გამოვიდა 300-ზე მეტი სპორტსმენი. პირველ ჯგუფში გამარჯვება წილად ხვდა „დინამოს" კოლექტივს. მომდევნო ადგილებზე არიან პედაგოგიური ინსტიტუტისა და „სპარტაკის" მძლეოსნები. მეორე ჯგუფში უძლიერესი იყო მეორე საშუალო სკოლის გუნდი.

60-მა ფიზკულტურელმა შეასრულა სათანრიგო ნორმატივი.

ი. ბუხაიძე

რედაქტორი ი. უგულავა.


24-27 ოქტომბერი

თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტული დარბაზი. საქართველოს 1958 წლის

24-27 ოქტომბერი

პირველობა



მონაწილეობენ: „დინამოს", „ბურევესტნიკის", „განთიადის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის", „შრომითი რეზერვების", საბჭოთა არმიისა და თბილისის სპორტული კლუბის ნაკრები გუნდები.

დასაწყისი 10-19 ს.

მონაწილეობენ: სტუდენტთა თამაშების ჩემპიონი რ. კაჭახიძე, საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონები თ. ბეთანელი და ა. ნარიმანოვი, სპორტის დამსახურებული ოსტატები: მ. ჯუღელი, გ. შარაბიძე, სპორტის ოსტატები: რ. შარაბიძე, ნ. მაკალათია, რ. პერტენავა, ო. ქორქია, უ. ვარდიაშვილი, ი. ამაშუკელი, ნ. ფრიდონიშვილი, ზ. გვეტაძე, მ. ნინოშვილი, მ. ცნობილაძე, ვ. კლიმოვი, ე. ქაჯაია ბ. კომისარენკო, ე. ხახუბია და სხვები.

25-26 ოქტომბერი 25-26



თბილისი, „ბურევესტნიკის" სტადიონი

საერთაშორისო მოტორბოლა



მონაწილეობენ: ავსტრიის, ბულგარეთის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ფინეთის, საფრანგეთის. ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლისტები.

საბჭოთა კავშირიდან გამოდიან: საბჭოთა კავშირის, რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდები.

შეჯიბრების დასაწყისი: 25 ოქტომბერს — 15 საათზე, 26 ოქტომბერს — 12 საათზე.



გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12, დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორის 3-89-62, მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06644